



This Project is Funded by the European Union



Empowered lives. Resilient nations.

საპარლამენტო ღიაობის საკითხები "ღია მმართველობის პარტნიორობის" წევრ ქვეყნებში

წინამდებარე კვლევა მომზადებულია პროექტის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით. პროექტი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის "საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI)



თბილისი, 2015



მოკლე შეჯამება

კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა სახელმწიფოთა არსებული პრაქტიკა და სამომავლო გეგმები საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით. კვლევის პირველ თავში გაანალიზებულია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP)¹ წევრი ქვეყნების სამოქმედო გეგმები საპარლამენტო ღიაობის თვალსაზრისით. კვლევის მეორე თავი განიხილავს „ღია მმართველობის გზამკვლევის“² ფარგლებში შემუშავებულ სარეკომენდაციო ვალდებულებებს, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა საკუთარი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

კვლევიდან იკვეთება საპარლამენტო საქმიანობის ღიაობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე სახელმწიფოები, რომლებსაც უფრო მეტი ვალდებულება აქვთ აღებული საპარლამენტო ღიაობის თვალსაზრისით, მაგალითად, ისეთი ქვეყნები როგორცაა ხორვატია, საბერძნეთი, ნიდერლანდების სამეფო, ჩილე და ამერიკის შეერთებული შტატები. მათ მიერ აღებული ვალდებულებები გულისხმობს საკანონმდებლო პროცესის ელექტრონულ დოკუმენტირებას, კანონპროექტების ადვილად აღსაქმელ ფორმატში გამოქვეყნებას და მოქალაქეების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერებას.

კვლევის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ინოვაციური მიდგომების დანერგვას საპარლამენტო საქმიანობის ღიაობის მიმართულებით, მაგალითად, აქვეყნებენ საკანონმდებლო მასალებს დამუშავებად ციფრულ ფორმატში. ასევე, მოქალაქეებს შეუძლიათ კანონპროექტებზე კომენტარის გაკეთება სხვადასხვა ელექტრონული საშუალების და ინტერნეტ აპლიკაციების მეშვეობით. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) წევრი ქვეყნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალური მედიის მეშვეობით საპარლამენტო ღიაობის გაუმჯობესებას და საზოგადოების ჩართულობის გაზრდას. გამოვლინდა, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) წევრი ქვეყნები საპარლამენტო ღიაობას აღიქვამენ მოქალაქეების მიერ პარლამენტის მიმართ ნდობის, საჯარო სერვისების გაუმჯობესებისა და კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ საფუძვლად. კვლევისას, ასევე, გამოიკვეთა საპარლამენტო ღიაობის საკითხებში საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული როლი.

¹ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/>.

² ღია მმართველობის გზამკვლევი, <http://www.opengovguide.com/about-this-guide/>.



სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
1. OGP-ის წვერი ქვეყნების მიერ საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები.....	9
1.1. ალბანეთი.....	9
1.2. ბულგარეთი.....	9
1.3. დანია.....	10
1.4. დიდი ბრიტანეთი.....	10
1.5. ინდონეზია.....	11
1.6. ირლანდია.....	12
1.7. კენია.....	12
1.8. ლატვია.....	13
1.9. ლიტვა.....	14
1.10. მოლდოვა.....	14
1.11. მონღოლეთი.....	15
1.12. ნიდერლანდების სამეფო.....	16
1.13. საბერძნეთი.....	20
1.14. სომხეთი.....	24
1.15. ფინეთი.....	24
1.16. ჩილე.....	25
1.17. ხორვატია.....	29
2. OGP-ის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო ვალდებულებები.....	30
2.1. შესავალი.....	30
2.2. პირველი საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები.....	33
2.2.1. საპარლამენტო ღიაობისა და სანდოობის შესახებ წესების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა.....	33
2.2.2. საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.....	37
2.2.3. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.....	39
2.3. მეორე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები.....	43
2.3.1. საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაგებად მიწოდება სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.....	43
2.3.2. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა მათი პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით.....	45



2.3.3. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ღია ფორმატში	48
2.4. მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები.....	51
2.4.1 ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით სამიზნე ჯგუფად ახალგაზრდების და მოწყვლადი ჯგუფების გამოყოფა.....	51
2.4.2. ციფრული პლატფორმების შემუშავება პარლამენტში მოქალაქეების ჩართულობის გასაძლიერებლად.....	52
2.4.3. პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული პროცედურების საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.....	55
2.5. მეოთხე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები.....	57
2.5.1. პარლამენტის მონაცემების მართვის ღია ელექტრონული სისტემის შემუშავება და გავრცელება.....	57
2.5.2. პარლამენტსა და პარლამენტის წევრებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა მობილური ტელეფონისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოყენებით	59



წინასიტყვაობა

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP)³ 2011 წელს დაფუძნებული საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას. დღეისათვის ინიციატივის წევრია მსოფლიოს 65 ქვეყანა. თითოეულ ქვეყანაში ხელისუფლება და სამოქალაქო სექტორი თანამშრომლობს ღია მმართველობასთან დაკავშირებული რეფორმების გასატარებლად. ინიციატივა ღია მმართველობისთვის წამოიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ. თეთრი სახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ 2009 წლის 21 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოთქვა მზაობა “ხელისუფლების გამჭვირვალობის უპრეცედენტოდ მაღალი დონის შესაქმნელად”.⁴ 2010 წლის 23 სექტემბრის მიმართვაში, აშშ-ის პრეზიდენტმა, გაეროს გენერალურ ასამბლეას მოუწოდა ჩამოეყალიბებინათ “კონკრეტული ვალდებულებები გამჭვირვალობის ხელის შეწყობისთვის”⁵ და მიიწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები შეერთებოდნენ მას დემოკრატიული მთავრობის ღიაობის დონის გაზრდაში, კორუფციასთან ბრძოლასა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობაში.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფორმალური გახსნა მოეწყო 2011 წლის 20 სექტემბერს ნიუ-იორკში. 8 დამფუძნებელმა ქვეყანამ (ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ნორვეგია, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, გაერთიანებული სამეფო და აშშ) ხელი მოაწერეს ღია მმართველობის დეკლარაციას და წარმოადგინეს თავიანთი სამოქმედო გეგმები. დამფუძნებელი წევრების წარმომადგენლები ასევე მიესალმნენ 38 ახალი წევრი სახელმწიფოს ჩართვას პროექტში, რომელთა შორის იყო საქართველოც.⁶

2012 წლის 17-18 აპრილს გაიმართა OGP-ს წევრების სამუშაო შეხვედრა ბრაზილიაში, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები 53 ქვეყნიდან. მონაწილე სახელმწიფოებმა

³ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/>.

⁴ The White House, <https://www.whitehouse.gov/open>.

⁵ იქვე.

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/347>.



წარმოადგინეს თავიანთი სამოქმედო გეგმები და აიღეს კონკრეტული ვალდებულებები გამჭვირვალობის ხელშეწყობის, კორუფციასთან ბრძოლის, სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის და მთავრობის ანგარიშვალდებულებას გასაზრდელად. მათ შორის საქართველომაც წარადგინა სამოქმედო გეგმა.⁷

საქართველომ, როგორც OGP-ის წევრმა ქვეყანამ, განახორციელა 2012-2013 წლებზე გათვლილი პირველი სამოქმედო გეგმა⁸ და აიღო სახელმწიფო სერვისების, სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო ფინანსების, სამართლის ადმინისტრირების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების სფეროებში გამჭვირვალე და შეთანხმებული პროცესების უზრუნველყოფის ვალდებულება. „2012-2013 წლების წინსვლის ანგარიშის“ თანახმად, საქართველომ მიიღო მაღალი შეფასება ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კუთხით. თუმცა დაბალი შეფასება მიიღო მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტში, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროებას.⁹ 2014 წლის სექტემბერში საქართველო ორი წლით იქნა არჩეული OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად.¹⁰

OGP-ის ფარგლებში, 2014 წელს საქართველომ დაამტკიცა 2014-2015 წლებში განსახორციელებელი მეორე სამოქმედო გეგმა.¹¹ აღნიშნული გეგმა მოიცავს 27 ვალდებულებასა და 16 პასუხისმგებელ დაწესებულებას.¹² აღსანიშნავია, რომ ეს არის არა საქართველოს მთავრობის გეგმა, არამედ ეროვნული სამოქმედო გეგმა და მის ფარგლებში ვალდებულებები აღებული აქვთ, როგორც აღმასრულებელი

⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/347>.

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/356>.

⁹ 2012-2013 წლების წინსვლის ანგარიში, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_final_2012.pdf, 2012, 14.

¹⁰ Open Government Partnership – Georgia, <https://ogpgeoblog.wordpress.com/2014/09/>.

¹¹ Open Government Partnership – Georgia, <https://ogpgeoblog.wordpress.com/2014/09/05/ogp-2/>.

¹² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), <https://idfi.ge/ge/government%20of%20georgia%20decree%20on%20ogp%20national%20action%20plan%20%282014-2015%29>.



ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს, ასევე სასამართლო ხელისუფლებას, კერძოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები დაკავშირებულია OGP-ის ოთხ გამოწვევასთან: სახელმწიფო სერვისები, საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, საჯარო რესურსების მართვის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორივე სამოქმედო გეგმა (2012-2013 და 2014-15) ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა. ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის - ფორუმის - მეშვეობით.¹³

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თავდაპირველად „ღია მმართველობის პარტნიორობა“-ში ჩართული იყო მხოლოდ მონაწილე ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ღია მმართველობის ინიციატივის იმპლემენტაციის პროცესში გამოიკვეთა საკანონმდებლო ხელისუფლების ჩართულობის აუცილებლობა. შედეგად, პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფი (Legislative Openness Working Group, LOWG).¹⁴

დემოკრატიულ პროცესებში პარლამენტის ჩართულობა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. პარლამენტი, როგორც დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლობითი შტო, მოქალაქეებს აკავშირებს საჯარო პოლიტიკის პროცესთან და კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას. საპარლამენტო ღიაობის უზრუნველსაყოფად აღებული ვალდებულებები უნდა მოიცავდეს პარლამენტის ღიაობასა და ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების უფლებას საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, 2014-15 წლების

¹³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/348>.

¹⁴ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/webinar-introducing-legislative-openness-working-group>.



სახელმწიფოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ იქნა შეტანილი საქართველოს პარლამენტის ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას, კერძოდ, მოქალაქეების პეტიციების სისტემის შექმნას და მოქალაქეების მიერ კანონპროექტებზე კომენტარების დატოვების შესაძლებლობას.¹⁵

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში პარლამენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების, პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა.

დოკუმენტის შექმნის პროცესში იქნა გამოყენებული შემდეგი წყაროები:

- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წვერი ქვეყნების მიმდინარე სამოქმედო გეგმები.¹⁶ პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია 17 სამოქმედო გეგმაში. ქვემოთ მოკლედ იქნება გაანალიზებული ამ ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებები.¹⁷
- დოკუმენტის მეორე თავში მოყვანილი ინფორმაცია ეფუძნება „ღია მმართველობის გზამკვლევს“¹⁸, რომელიც წარმოადგენს დამხმარე წყაროს მთავრობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სამოქმედო გეგმების ვალდებულებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

¹⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/356>.

¹⁶ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/countries>.

¹⁷ ამ ეტაპზე, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშია 4 ქვეყანა (ავსტრალია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საფრანგეთი და მალავი).¹⁷

¹⁸ ღია მმართველობის გზამკვლევი, <http://www.opengovguide.com/about-this-guide/>. გზამკვლევი თავდაპირველად შეიქმნა 2011 წელს როგორც „გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინიციატივის“ (Transparency Accountability Initiative, <http://www.transparency-initiative.org/>) ანგარიში, ხოლო 2013 წლიდან გზამკვლევი არსებობს დამოუკიდებელი ელექტრონული რესურსის სახით.



1. OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები

1.1. ალბანეთი¹⁹

2005 წელს ალბანეთის მთავრობამ პრიორიტეტად დაასახელა სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობა და 2009-2013 წლებისთვის შეიმუშავა ეროვნული პროგრამა „ციფრული ალბანეთი“, როგორც სწრაფი განვითარების და ინფორმირებული საზოგადოების შექმნის საფუძველი. ელექტრონული მმართველობის მიმართულებით ალბანეთმა უკვე დაამკვიდრა ე.წ. ელ-აქტების სისტემა. ელ-აქტების სისტემა საშუალებას იძლევა, რომ ყველა კანონი და კანონქვემდებარე აქტი მთლიანად ელექტრონული გზით იქნეს მიღებული. ალბანეთის სამოქმედო გეგმით დაგეგმილია ელ-პარლამენტის სისტემის შემუშავება, რაც ელექტრონული საკანონმდებლო პროცესის დამაგვირგვინებელი ნაბიჯი გახდება.²⁰

1.2. ბულგარეთი²¹

ბულგარეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ მოთხოვნას, რომ რეგულაციების და კანონების შემუშავების პროცესში შექმნილი პროექტები და თანდართული მოხსენებები იყოს ღია, ასეთი ტიპის დოკუმენტაციის შემქმნელი

¹⁹ Open Government Partnership Initiative, The Republic of Albania Action Plan, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Albanian%20OGP%20Action%20Plan_2.pdf.

²⁰ Open Government Partnership Initiative, The Republic of Albania Action Plan, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Albanian%20OGP%20Action%20Plan_2.pdf.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ალბანეთი არის მეორე ადგილზე მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელთა ზრდის სისწრაფით; 2006 წელს ალბანეთის მოსახლეობის 4,8% იყენებდა ინტერნეტს, 2012 წელს ამ რიცხვმა შეადგინა 60%.

²¹ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Republic of Bulgaria, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/PLAN-BG-ENGLast.doc.



ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. ყველა დაინტერესებულ მხარეს და მოქალაქეს აქვს უფლება, რომ 14 დღის განმავლობაში გამოთქვას თავისი მოსაზრება და შესთავაზოს წინადადებები კანონპროექტთან დაკავშირებით.

ამავდროულად, ბულგარეთში სამოქალაქო საზოგადოების მიერ შექმნილია ვებ-გვერდი „ღია პარლამენტი - მოქალაქეების ხმა“ (www.openparliament.net), რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების და საკანონმდებლო აქტების შესახებ აქვეყნებს ინფორმაციას. 2012 წლის იანვარში შექმნილი ვებ-გვერდი სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპებით ფუნქციონირებს და ხელს უწყობს აქტიურ სამოქალაქო დიალოგს.

1.3. დანია²²

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში დანიას შემუშავებული აქვს 2013-2014 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, სადაც ღიაობის კუთხით მოთხოვნა პარლამენტისთვისაც არის გაწერილი. დანიის პარლამენტისთვის გათვალისწინებულია ვალდებულება, რომელიც მოქალაქეებისათვის, კომპანიებისათვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომს გახდის საკანონმდებლო მასალებს დამუშავებად ციფრულ ფორმატში.

1.4. დიდი ბრიტანეთი²³

დიდი ბრიტანეთის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთი გეგმავს ჰყავდეს მსოფლიოში ყველაზე უფრო გამჭვირვალე და ღია მთავრობა.

²² Open Government Partnership Initiative, National Action Plan of Denmark, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Denmark_Open%20Government%20Action%20Plan%202013-2014_ENG_1-sided_print%20%281%29.pdf.

²³ Open Government Partnership Initiative, Action Plan of UK, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/20131031_ogp_uknationalactionplan.pdf.



დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტი და პარლამენტის ბიზნეს და საკანონმდებლო სამდივნო ერთობლივად არიან პასუხისმგებელი კანონპროექტების გამოქვეყნებაზე ვებ-გვერდზე www.gov.uk, იმისათვის, რომ წახალისონ საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში.



Committees

- Inquiries A-Z
- Open calls for evidence
- Parliament 2010
- Parliament 2005

Committee inquiries: Open calls for evidence

The following is a list of all committee inquiries where the initial call for evidence is still open. Further information can be found by following the links to the relevant inquiry pages.

Some select and joint committees (but not public bill committees) continue to accept written evidence after the initial call for evidence deadline has passed. Please refer to the relevant inquiry pages or contact committee staff for details of specific inquiries.

- Commons Select Committee inquiries
- Lords Select Committee inquiries
- Joint Committee inquiries
- Public Bill Committees

Commons Select Committee inquiries

- Support for government formation after a General Election** | Political and Constitutional Reform Committee | Deadline: Thursday 12 February
- Children's oral health** | Health Committee | Deadline: Friday 13 February 2015
- Constitutional implications of the draft Scotland clauses** | Political and Constitutional Reform Committee | Deadline: Thursday 19 February 2015
- 2015 accountability hearing with the General Dental Council** | Health Committee | Deadline: Thursday 19 February 2015
- Evidence check: Starting school** | Education Committee | Deadline: Monday 23 February 2015

Further information

For more information about the work of committees, please visit the [About Parliament](#) section of this website.

For further details regarding a Select or Joint Committee inquiry please contact the relevant committee. Contact details can be found on the committee's main page.

- [Browse the A - Z list of committees](#)

For further details regarding a Public Bill Committee please contact the [Scrutiny Unit](#).

- [Email the Scrutiny Unit](#)

Guidance on written submissions

If you are considering sending a written submission please read the following guidelines:

- Guidance on written submissions for House of Commons select committee inquiries
- Guidance on written submissions for House of Commons Public Bill Committees
- Guide for witnesses giving written or oral evidence to a select committee (PDF 2.46 MB)

1.5. ინდონეზია²⁴

ინდონეზია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთერთი დამფუძნებელი ქვეყანაა.²⁵ ინდონეზიას სამოქმედო გეგმაში ვალდებულებად აღებული აქვს ღიაობის ხარისხის

²⁴ Open Government Partnership, Action Plan of Indonesia, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP%20Indonesia%20Chairmanship%202014_final.pdf

²⁵ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/country/indonesia>.



გაუმჯობესება საჯარო ინტერესის სფეროებში, რაც გულისხმობს შემდეგს: სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესებას ორივე საკანონმდებლო პალატაში: წარმომადგენელთა პალატაში (DPR) და რეგიონალურ წარმომადგენელთა პალატაში (DPRD). სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ საზოგადოება უფლებამოსილია იცოდეს ორივე დასახელებული პალატის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

1.6. ირლანდია²⁶

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული ირლანდიის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

- გამჭვირვალობა და ღია მონაცემები;
- მოქალაქეების ჩართულობა;
- მმართველობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება.

პარლამენტთან მიმართებაში ირლანდიის სამოქმედო გეგმა, მიზნად ისახავს კანონპროექტებისა და ბიუჯეტის საპარლამენტო განხილვის პროცესის ღიაობას და მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობის გაძლიერებას.

1.7. კენია²⁷

კენიის 2012-2013 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, ეროვნული ასამბლეის სპიკერის ინიციატივით, კენიის პარლამენტმა წამოიწყო ინიციატივა „პარლამენტი პირდაპირ ეთერში“. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება

²⁶ Open Government Partnership Initiative, National Action Plan of Ireland, <http://www.opengovpartnership.org/files/ogp-national-action-planpdf/downloadb41Qr6Sg>.

²⁷ Open Government Partnership Initiative, National Action Plan of Kenya, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/KenyaOGPAActionPlan.doc.



პირდაპირ ეთერში ადევნოს თვალი პარლამენტის მიმდინარე საქმიანობას.²⁸ აგრეთვე, პარლამენტის სხდომის ოქმების დეტალური ჩანაწერების მოძიება შესაძლებელია ციფრულ ფორმატში.²⁹ ასევე, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ეროვნული ასამბლეის სპიკერმა დღის წესრიგში დააყენა ელექტრონული კენჭისყრის საკითხიც, რაც გაზრდის პარლამენტში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.³⁰ ამას გარდა, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდისა და მთავრობის მხრიდან სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კენიაში დაიგეგმა საზოგადოების ჩართვა საარჩევნო ოლქების საზღვრებისა და საპარლამენტო საარჩევნო ოლქების სახელების განსაზღვრაში.³¹

1.8. ლატვია³²

2006 წლიდან, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში მიერთებამდე, ლატვიაში მოქმედებს პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორუმი, რომელიც ყოველ წელს იკრიბება. აღნიშნული ფორუმი განსაზღვრავს შემდეგი წლის სამოქმედო პროგრამას. თანამშრომლობის ფორუმის ორგანიზებას ახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად იკრიბება როგორც მომდევნო ფორუმის მოსამზადებლად, ასევე, მიმდინარე ღონისძიებების იმპლემენტირების მხარდასაჭერად.

²⁸ Parliament of Kenya, <http://www.parliament.go.ke>.

²⁹ Open Government Partnership Initiative, National Action Plan of Kenya, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/KenyaOGPActionPlan.do
ც, გვ. 4.

³⁰ იქვე.

³¹ Open Government Partnership Initiative, National Action Plan of Kenya, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/KenyaOGPActionPlan.do
ც, გვ. 6.

³² Open Government Partnership Initiative, Action Plan of Latvia, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Latvian%20OGP%20Action%20plan%202012.pdf.



2009 წლიდან ჩაეყარა საფუძველი სამართლებრივ პროცედურებს, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის, მთავრობის, ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო დაწესებულებების საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას.

ლატვიის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ 2012 წლის თებერვლიდან ლატვიის მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სეიმის სესიის დღის წესრიგზე, იმ შემთხვევაში თუ 16 წელს მიღწეული არანაკლებ 10000 მოქალაქე მოაწერს ხელს პარლამენტში წარსადგენ განაცხადს. მათი მოსაზრებები განხილული იქნება საპარლამენტო კომიტეტებსა და პლენარულ სხდომაზე. პარლამენტში განაცხადის წარდგენა ელექტრონულადაც არის შესაძლებელი, თუ მოხდება განაცხადზე ხელმოწერ პირთა იდენტიფიცირება.

1.9. ლიტვა³³

ლიტვა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ძირითად მიზნად განიხილავს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობასა და ღიაობას, სახელმწიფო სერვისების საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას. 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, რომ შეასწავლოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელ პირებს კანონპროექტების შეფასება ანტი-კორუფციული ასპექტის გათვალისწინებით.

1.10. მოლდოვა³⁴

³³ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Lithuania, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP_LT_national_action_plan_final.pdf.

³⁴ Open Government Partnership Initiative, Action Plan of the Republic of Moldova, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Moldova%20Open%20Government%20Action%20Plan%202012-2013_0.pdf.



მოლდოვის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მოლდოვაში პარლამენტის, მთავრობის სხდომების, ისევე როგორც სხვა საჯარო დაწესებულებების შეხვედრათა უმეტესობის პირდაპირი ეთერით ჩვენებას, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით. მაგალითად, მოლდოვაში პრეზიდენტი პარლამენტის მიერ აირჩევა არაპირდაპირი არჩევნების გზით და 2012 წლის 16 მარტის პრეზიდენტის არჩევნებს მოლდოველი მოქალაქეები პირდაპირ ეთერში ადევნებდნენ თვალს ოფიციალური Youtube არხით.



1.11. მონღოლეთი³⁵

მონღოლეთის პარლამენტში შექმნილია პეტიციების განმხილველი მუდმივი კომიტეტი, რომელიც განიხილავს მოქალაქეების პეტიციებს, იღებს გადაწყვეტილებებს და ქმნის სამართლებრივ გარემოს საჯარო მოსმენებისთვის.³⁶

³⁵ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Mongolia, <http://www.opengovpartnership.org/files/ogpcaplaunchpdf/download>.


³⁶ იქვე, გვ. 2.



1.12. ნიდერლანდების სამეფო³⁷

ნიდერლანდების სამეფოს ვალდებულებები საპარლამენტო გამჭვირვალობის კუთხით შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული.

პირველი ვალდებულება გულისხმობს წარმომადგენელთა პალატის ღიაობას. არსებობს ვებ-გვერდი www.officielebekendmakingen.nl, სადაც ღიაობის პოლიტიკის ფარგლებში ბოლო რამდენიმე წელია, რაც საპარლამენტო დოკუმენტაცია არის წარმოდგენილი.



De wegwijzer naar informatie en diensten van alle overheden

Overheid.nl

> Hoog contrast Tekstgrootte - +

Home Particulieren Ondernemers Overheidsinformatie Over deze site Contact **English** Help Sitemap Zoeken

zoeken

Vul een zoekterm in

en eventueel postcode/plaatsnaam

zoek >

> Home
English

Inloggen MijnOverheid DigID

Overheid.nl

Overheid.nl is the central access point to all information about government organisations of the Netherlands.

'Dutch government websites' provides a selection of websites on subjects such as tourism, trade and culture. You will also find links to the English-language pages of the websites of Dutch government organisations. Under 'About the Dutch government' you will find information on how Dutch government services are organised. Finally, under 'About this website', you will find general information about Overheid.nl.

General information

- ▀ [Dutch government websites](#)
- ▀ [About the Dutch government](#)
- ▀ [About this website](#)

აღნიშნული ვებ-გვერდი მოიცავს არა მხოლოდ ოფიციალურ საპარლამენტო დოკუმენტებს, არამედ ასევე დანართებს და დოკუმენტაციის შესწორებულ რედაქციებსაც.

³⁷ Open Government Partnership, Action Plan of Netherlands, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Netherlands%20Action%20Plan%20Open%20Government%20Partnership.pdf>.



- მოხსენებები, დღის წესრიგები, განრიგები და პუბლიკაციები გახდება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი Parlis³⁸-ის მეშვეობით (წარმომადგენელთა პალატის მონაცემთა ბაზა);
- გაგრძელდება API-ის (Application Program Interface - ინტერფეისი, რომელიც გამოყენებული ინფორმაციის ადვილი განახლების საშუალებას იძლევა) შემდგომი განვითარება. თავდაპირველად API-ის იყენებდა პირთა შეზღუდული რაოდენობა. ამჟამად, ის არის ღია, რაც იძლევა ინფორმაციის ყოველდღიური განახლების შესაძლებლობას;
- წარმომადგენელთა პალატის სესიების ინტერნეტ აპლიკაციის (Session App) განვითარება.
- შესაძლებელი იქნება წარმომადგენელთა პალატის ყველა სესიის პირდაპირ ეთერში ჩვენება და სესიის ჩანაწერის მოძებნა და განმეორებით ნახვა.

ნიდერლანდების სამეფოს საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებული მეორე ვალდებულება არის საპარლამენტო კალენდარის განახლება. საკანონმდებლო კალენდარი განახლებული იქნება Kiwi-ის (უწყებათაშორისი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესს) ბაზაზე. ნიდერლანდების სამეფოს სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს საპარლამენტო კალენდრის ხარისხობრივი თვალსაზრისით გაუმჯობესების საკითხს (მისი განახლების, სისრულისა და სანდოობის მიზნებიდან გამომდინარე). პროექტის განმახორციელებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოები არიან: შინაგან საქმეთა და სამეფო ურთიერთობების სამინისტრო და უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტრო.

საპარლამენტო კალენდარის განახლების პროცესში, კანონპროექტები და ბრძანებები გამოქვეყნებული იქნება ვებ-გვერდზე. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: სახელწოდებას, ინიციატორი სამინისტროს დასახელებას, ინიციატორი სამინისტროს მხრიდან პირველ ხელმომწერ პირს, დოკუმენტის ტიპს, დოკუმენტის მიღების პროცესის მიმდინარე ეტაპს, დოკუმენტის ნომერს, ინფორმაციას ინტერნეტში

³⁸ Parlis (bèta), gewoon alle kamerstukken en kamervragen snel vinden, <http://parlis.nl/>.



მიმდინარე კონსულტაციების შესახებ და ა.შ. აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს კანონის ან ბრძანების მიღების მთლიანი პროცესის განსაზღვრას და გამჭვირვალობის დაცვას პროცესის განმავლობაში. გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტის ტექსტი ხელმისაწვდომი იქნება ვებ-გვერდის www.internetconsultatie.nl³⁹ ან საპარლამენტო გაზეთის საშუალებით. გამოქვეყნებული ინფორმაცია იქნება ღია და შესაძლებელი იქნება სხვა მხარეების მიერ მისი შემდგომი გამოყენება.

საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული ნიდერლანდების *მესამე ვალდებულება* გულისხმობს ელექტრონული კონსულტაციების სისტემის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, ელექტრონული კონსულტაციები წარმატებულად გამოიყენება მოქალაქეებთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობის დროს. ელექტრონული კონსულტაციების დროს ხდება კონსულტაციის გავლა და მათი შემდგომი ინფორმირება დაგეგმილ საკანონმდებლო და პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

ნიდერლანდების *მეოთხე ვალდებულება* ითვალისწინებს მეტი გამჭვირვალობის ხარისხის მიღწევას საკანონმდებლო პროცესის ღიაობის განმახორციელებელ ვებ-გვერდზე www.volgdewet.nl.⁴⁰

საკანონმდებლო პროცესის მარეგულირებელი ვებ-გვერდი www.volgdewet.nl არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ნეთვორქ დემოკრატი“⁴¹ ინიციატივა, რომლის მიზანია, რომ ხელისუფლების საქმიანობა გახდეს უფრო გამჭვირვალე. ვებ-გვერდი ასახავს მიმდინარე კანონმდებლობის შექმნის პროცესს. ამავდროულად ის იყენებს ღია მონაცემთა ბაზებს ვებ-გვერდიდან www.wetten.nl.⁴²

³⁹ ASP for All, Managed hosting services, www.internetconsultatie.nl/.

⁴⁰ Iedereen Kan Invloed Hebben, <http://www.volgdewet.nl/>.

⁴¹ Network Democracy, <http://netwerk-democratie.nl/>.

⁴² Dutch government websites, www.wetten.nl.



Eenvoudig zoeken

Uitgebreid zoeken



Neem nu de wetten mee op uw e-Reader of iPad >

Kies soort regeling Alle soorten regelingen of:

- Verdragen
- Wetten
- AMvB's en andere Koninklijke Besluiten
- Ministeriële regelingen
- Beleidsregels rijksdienst
- Circulaires rijksdienst
- Regelingen zelfstandige bestuursorganen (ZBO's)
- Regelingen publieke organisatie voor beroep en bedrijf
- Reglementen van de Staten-Generaal
- Ook zoeken in regelingen BES
- Alleen zoeken in regelingen BES

Regelingen van provincies, gemeenten, BES, waterschappen, en voormalige > Nederlandse Antillen (voor 10-10-2010)

Europese regelingen (EUR-Lex) >

Zoek op woord of zinsdeel In de titel Exact zoeken Afkorting of volledige titelIn de tekst Exact zoeken

Artikelnummer

 Artikel Bijlage (niet voor verdragen)Zoek op datum

Geldend op

2 - 3 - 2015 > Vandaag

 Ook zoeken in materieel uitgewerkte regelingen

Wis scherm

Zoeken >

De informatie in dit onderdeel vormt geen bekendmaking in de zin van de Grondwet. Alleen publicatie in het Tractatenblad, het Staatsblad, de Staatscourant en andere vanwege de overheid verkrijgbaar gestelde publicatiebladen heeft een officieel karakter.

ვებ-გვერდი შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს და დაინტერესებულ ჯგუფებს, რომ საკანონმდებლო პროცესის ყველა საფეხურზე შენიშვნის სახით გამოხატონ შესაბამისი ინიციატივები, რაც ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობას.

1.13. საბერძნეთი⁴³

ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, საბერძნეთს, პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებით, ექვსი ვალდებულება აქვს აღებული:

1). საბერძნეთის პარლამენტის მიერ აღებული პირველი ვალდებულება მიმართულია საკანონმდებლო პროცესის დოკუმენტირებისკენ, რომლის მიზანია ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც:

- მონიტორინგს გაუწევს კანონშემოქმედებითი საქმიანობის მდგომარეობას;

⁴³ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Greece, <http://www.opengovpartnership.org/files/greece-ogp-action-plan-2014-2016-engpdf/download>.



- ხელს შეუწყობს დოკუმენტების განსხვავებულ ფორმატში შემუშავებას და
- უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ გავრცელებას როგორც პარლამენტის წევრებს შორის, ასევე საჯაროდ.

ამავდროულად, საკანონმდებლო პროცესის დოკუმენტირების შედეგად შეიქმნება პარლამენტის მონაცემთა ბაზა, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტარებს და საზოგადოებას სწრაფად და სიზუსტის დაცვით გამოითხოვონ დოკუმენტაცია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, რომ დასახელებული ვალდებულების განსახორციელებლად უნდა შესრულდეს შემდეგი ამოცანები:

- სისტემის დანერგვა, რომელიც იძლევა კანონპროექტში ცვლილების შეტანის, მისი დახვეწის და კორექტირების საშუალებას საკომიტეტო და პლენარული მოსმენების დროს;
- კანონპროექტის მარტივ და ადვილად აღსაქმელ ფორმატში გამოქვეყნება;
- დოკუმენტების ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფა;
- საპარლამენტო დოკუმენტაციის (კომიტეტების სხდომის ოქმები, პლენარული სხდომების ოქმები, მოხსენებები და კენჭისყრის შედეგები) ავტომატური ელექტრონული გადამისამართება;
- დოკუმენტებზე წვდომა სხვადასხვა საშუალების (ელექტრონული, ბეჭდური ვერსია) გამოყენებით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სპეციალური ვებ-გვერდების საშუალებით დოკუმენტაციაზე წვდომის გაადვილება;
- ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით დოკუმენტაციის შენახვის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია დასახელებული ვალდებულების ეტაპობრივი შესრულება 2014 და 2016 წლების ბოლოს.



2). სამოქმედო გეგმით აღებული *მეორე ვალდებულება* არის პარლამენტის ვებ-პორტალზე „პარლამენტის გამჭვირვალობის“ სექციის ფუნქციონირების გაუმჯობესება და ვებ-პორტალის მნახველების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საპარლამენტო საქმიანობის ღიაობას და გამჭვირვალობას. ეს სექცია შეიქმნა 2014 წლის 1 იანვარს და საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უკეთ იყვნენ ინფორმირებული პარლამენტის მუშაობის, მისი ადმინისტრირების, მისი საბიუჯეტო საქმიანობის, სახელშეკრულებო ურთიერთობის, მომარაგების და მის პერსონალთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

3). სამოქმედო გეგმით აღებული *მესამე ვალდებულება* მოიცავს პარლამენტის ვებ-პორტალის ფუნქციონირების დახვეწას, რაც შესაბამისობაშია ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების, ღია მონაცემების, ინფორმაციის ვიზუალიზაციისა და საძიებო სისტემების შემუშავების თანამედროვე სტანდარტებთან. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ღია საპარლამენტო მონაცემები არის ძირითადი გამოწვევა ბერძნული პარლამენტისთვის. ასევე, ბერძნული პარლამენტი ორიენტირებულია ინფორმაციის შესაბამის სტრუქტურირებაზე, რაც მნახველს საჯარო ინფორმაციის გამოყენების მეტ შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად შემდეგი ამოცანებია გათვალისწინებული:

- პარლამენტისა და მისი წევრების მხრიდან კეთილსინდისიერების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დაცვა;
- მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება პარლამენტის ვებ-პორტალზე არსებული ინფორმაციის გამოყენების კუთხით;
- საპარლამენტო პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის მარტივი და სისტემური ფორმით ჩამოყალიბება;
- ინფორმაციის ნამდვილობის, სისრულის და სისწორის დაცულობა.

4). საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული *მეოთხე ვალდებულება* ითვალისწინებს ისტორიული (1970-იანი წლებიდან) საპარლამენტო დოკუმენტების,



კერძოდ, პლენარული სესიების და კანონპროექტების განმარტებითი ბარათების და საპარლამენტო არქივის ნაწილის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და პარლამენტის ვებ-პორტალზე განთავსებას. ვალდებულების მიზანია ციფრული მასალით გაამდიდროს საბერძნეთის პარლამენტის ვებ-გვერდი. ვალდებულება მოიცავს პლენარული სესიების სხდომის ოქმების დამუშავებასა და გამოქვეყნებას ციფრულ ფორმატში პირველი მოწვევის პარლამენტიდან მერვე მოწვევის პარლამენტის ჩათვლით (9/12/1974-22/8/1996), ასევე, 1975-დან 1993 წლამდე კანონპროექტების განმარტებითი ბარათების გამოქვეყნებას.

5). სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სოციალური მედიის საშუალებით საკომუნიკაციო პოლიტიკის გაძლიერება და სოციალური მედიის უკვე დარეგისტრირებულ გვერდებზე ელექტრონული სერვისების გამოყენების ხარისხის გაუმჯობესება არის საბერძნეთის პარლამენტის მთავარი მიზანი (*მეხუთე ვალდებულება*). დაგეგმილია ინტეგრირებული სისტემური საკომუნიკაციო დიზაინის შექმნა, რაც მოიცავს საბერძნეთის პარლამენტის ანგარიშებს Twitter-ზე, Youtube-ზე და Facebook-ზე.

6). სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ *მეექვსე ვალდებულებაში* ხაზგასმულია, რომ პარლამენტი და მასთან არსებული პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის ფონდი მოაწყობენ გამოფენებს, რაც მიზნად ისახავს დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის სწავლებასა და ხელშეწყობას, მოქალაქეების საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებით ცნობიერების ზრდას და საერთო მეხსიერების და საერთო იდენტობის ფორმირებას. ინტერნეტის და მობილური მოწყობილობების მეშვეობით, გამოფენების მოწყობის ციფრული პლატფორმის ფარგლებში, შესაძლებელი გახდება რეალური საგამოფენო სივრცეების ვირტუალური ვიზიტი. საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობები გაზრდის კომუნიკაციას პარლამენტსა და მოქალაქეებს შორის და ხელს შეუწყობს საპარლამენტო დიალობას მოქალაქეების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის გზით.



1.14. სომხეთი⁴⁴

ეფექტური და ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემის შექმნა არის სამოქმედო გეგმის თანახმად სომხეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ღია მმართველობის პარტნიორობასთან შეერთებით, სომხეთმა კიდევ ერთხელ გამოხატა სურვილი, რომ უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული გახადოს საჯარო მმართველობა და სახელმწიფო სერვისები. სომხეთის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, საკანონმდებლო გამჭვირვალობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობის ღიაობას. კანონპროექტები მუშავდება სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მიერ, რის შესახებაც ზოგჯერ საზოგადოება არ არის საკმარისად ინფორმირებული. შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს კანონპროექტის ვერსიებს იქამდე, სანამ ისინი მიიღება. მათ ასევე არ აქვთ შესაძლებლობა რეკომენდაციები გაუწიონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. კანონპროექტების გამოქვეყნებისათვის შექმნილია ელექტრონული ფორუმი, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავების პროცესში მყოფი სამართლებრივი აქტების მიმართ საზოგადოების ცნობადობის გაზრდის მიზნით. სამოქალაქო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა წამოაყენოს რეკომენდაციები კანონპროექტებთან მიმართებაში და იყოს ინფორმირებული მათი სტატუსის შესახებ (მაგ., მოხდა თუ არა კანონპროექტებში ცვლილების შეტანა, მოხდა თუ არა კანონპროექტების მიღება, თუ არ მიიღეს, მაშინ რა არის მიუღებლობის სამართლებრივი საფუძველი და ა. შ.).

1.15. ფინეთი⁴⁵

⁴⁴ Open Government Partnership, Action Plan of the Republic of Armenia, <http://www.opengovpartnership.org/country/armenia>.

⁴⁵ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Finland, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/20130314%20OGP%20Action%20Plan%20Finland.pdf.



ფინეთის ხელისუფლებისათვის ღიაობა არის უპირველესი ღირებულება. ამ მიზნის მისაღწევად ფინეთში მიღებულ იქნა ელ-სერვისებისა და ელ-დემოკრატიის განვითარების სამოქმედო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იქმნება მთავრობისა და პარლამენტისთვის ელექტრონული დემოკრატიის ერთიანი ინფრასტრუქტურა.

1.16. ჩილე

ჩილეს 2014–2016 წლების „საპარლამენტო ღიაობის“ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სანტიაგოს „გამჭვირვალობისა და პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიების ერთიანობის“ დეკლარაციას,⁴⁶ რომელსაც ხელი მოეწერა 2012 წლის 13 იანვარს, „ეროვნულ კონგრესსა და პოლიტიკური პარტიების სისტემაში საერთაშორისო ღიაობისა და გამჭვირვალობის შესახებ“ სემინარის დასრულების შემდეგ. 2012 წლის 22 ივნისს, დასახელებული დეკლარაციის დებულებების შესრულების მიზნით შეიქმნა „ლათინო-ამერიკული გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ანგარიშვალდებულების ქსელი“.⁴⁷ აღნიშნული კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს პარლამენტისადმი მოქალაქეებში ნდობის ხარისხის გაზრდას და პარლამენტში გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპების დამკვიდრებას. ორგანიზაციის წევრები არიან არგენტინა, კოსტა-რიკა, ეკვადორი, ელ-სალვადორი, მექსიკა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი და ვენესუელა. 2012 წლის 7 ნოემბრის ჩილეს დეპუტატთა პალატის გადაწყვეტილებით შეიქმნა „გამჭვირვალობის ორპალატიანი კომიტეტი“⁴⁸, რომელიც შედგება სენატორებისა და დეპუტატებისგან.⁴⁹

ჩილეს სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ დოკუმენტების გამჭვირვალობის გარდა,

⁴⁶ Chile Action Plan 2014–2016, გვ.1, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci%C3%B3n%202014-16%20CHILE%20OFICIAL.pdf>.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ Republica de Chile Senado, http://www.senado.cl/prontus_senado/site/artic/20130729/pags/20130729134800.html.

⁴⁹ Chile Action Plan 2012-2014, გვ. 3, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/Chile%20National%20Plan.pdf.



პარლამენტის წარმომადგენლებმა ერთად უნდა იბრძოლონ კორუფციის წინააღმდეგ და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დემოკრატიული მმართველობის განხორციელება.⁵⁰ ასევე ხელი უნდა შეეწყოს ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რომელსაც მოქალაქეების მხრიდან ექნება ნდობა და შეძლებს კორუფციული საქმიანობის პრევენციას, გამოვლენას და შესაბამისი სანქციის განსაზღვრას. ჩილეს სამოქმედო გეგმა, ასევე, ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებების (მაგ. ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ, ინტერ-ამერიკული კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ და ა. შ.) მიერთების, რატიფიცირების და აღიარების ვალდებულებას.

ჩილეს სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამ ძირითად მიმართულებას, რის ფარგლებშიც ქვეყანას ადებული აქვს შემდეგი ვალდებულებები. კერძოდ, ეს ვალდებულებებია: საჯარო სერვისების გაუმჯობესება, საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და ჩილეს ეროვნული კონგრესის ინსტიტუციონალური პოლიტიკის განსაზღვრა.

ჩილეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული *პირველი ვალდებულება* ხაზს უსვამს საპარლამენტო ღიაობის და ტექნოლოგიების როლს საჯარო სერვისების გაუმჯობესებისა და საპარლამენტო საქმიანობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირების საკითხში. ჩილეს ეროვნული კონგრესი აღიარებს ტექნოლოგიის მნიშვნელობას, ასევე ეროვნული კონგრესის მუშაობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირებასა და მათთვის საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის აუცილებლობას. პირველი ვალდებულების შესასრულებლად შემდეგი ინიციატივები არის გათვალისწინებული:

- 2015 წლის მარტისათვის განსაზღვრულია სახელმწიფოს გამჭვირვალობის პორტალზე ინფორმაციის იმ სახით განთავსება, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს დარწმუნდნენ სენატის, დეპუტატთა პალატის და

⁵⁰ Chile Action Plan 2014–2016, გვ.2,

<http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci%C3%B3n%202014-16%20CHILE%20OFICIAL.pdf>.



ეროვნული კონგრესის ბიბლიოთეკის შესახებ მონაცემების სანდოობასა და გამჭვირვალობაში.

- 2015 წლის ივნისისათვის განსაზღვრულია PNUD-სთან (Programa de Naciones Unidas para el Desarrollo)⁵¹ დადებული ხელშეკრულების ჩარჩოების შესაბამისად სენატის, დეპუტატთა პალატისა და ეროვნული კონგრესის ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდების შემდგომი დახვეწა, რომ მოქალაქეებისთვის გამარტივდეს ინფორმაციის მიღება.
- საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების დელეგატთა პირად ვებ-გვერდებზეც გავრცელება.
- ერთიანი ვებ-გვერდის შექმნა ჩილეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის ინფორმაციის განსათავსებლად.⁵²

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული *მეორე ვალდებულება* გულისხმობს საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას. ეს ის გამოწვევაა, რომელზეც ჩილე უკვე დიდი ხანია მუშაობს და ცდილობს მისი გადაჭრის გზების პოვნას. სწორედ ამიტომ წახალისდა მოქალაქეთა მხრიდან კანონპროექტების წარდგენისა და კანონმდებლობის განახლების შესაძლებლობა ყველა სფეროში. ამასთანავე სამოქმედო გეგმაში ჩაიღო ვალდებულება, რომ დახმარება გაეწიოს ჩილეს ყველა მუნიციპალიტეტს, რომელიც მისწრაფვის მეტი გამჭვირვალობისაკენ. საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის ვალდებულების ფარგლებში ჩილეს ეროვნულ კონგრესში სამი კანონპროექტი იქნა შეტანილი:

- პირველი კანონპროექტი უკავშირდება საჯარო სამსახურის სანდოობას, რომლის მიზანია დაარეგულიროს და სრულყოს კონფლიქტების მართვის მექანიზმები, რომლებმაც უნდა მოიცვან სამემკვიდრეო, აქტივების მართვისა და მოქალაქეთა სხვა ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები.

⁵¹ Programa de Naciones Unidas para el Desarrollo
<http://www.cl.undp.org/>.

⁵² Chile Action Plan 2014–2016, გვ.3,

<http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci%C3%B3n%202014-16%20CHILE%20OFICIAL.pdf>.



- ჩილეს 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია მეორე კანონპროექტის შესახებ, რომლითაც ცვლილებები უნდა შევიდეს კანონმდებლობაში გამჭვირვალობის თვალსაზრისით. კანონპროექტის თანახმად უნდა გაიზარდოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ვალდებულება.
- რაც შეეხება სამოქმედო გეგმაში ხსენებულ მესამე კანონპროექტს, იგი მიმართულია განაახლოს კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რათა მათი საქმიანობა გახდეს უფრო ღია და გამჭვირვალე.⁵³

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული *მესამე ვალდებულება* ითვალისწინებს ინსტიტუციონალური პოლიტიკის განსაზღვრას, რომლის მიზანია გამჭვირვალობისა და სანდოობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მდგრადობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებს შემდეგი ინიციატივების შესრულებას:

- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, რომ 2014 წლის დეკემბერში უნდა განხორციელებულიყო საკანონმდებლო სამუშაოები, რომელიც იქნებოდა დაკავშირებული ეროვნული კონგრესის გამჭვირვალობასა და სანდოობასთან.
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონსულტაციებისა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება ეროვნული კონგრესის ორივე პალატის საკანონმდებლო განხილვების ყველაზე საფეხურზე მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმაში ასევე ხაზგასმულია მთავრობათაშორისი ალიანსის ზოგადი წესების შესახებ, რომელიც დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას შესაბამისი მიღწევებისა და რეფორმირების შესახებ, ასევე აძლევს მათ საშუალებას, რომ

⁵³ Chile Action Plan 2014–2016, გვ.4-5,
<http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci%C3%B3n%202014-16%20CHILE%20OFICIAL.pdf>.



იმპლემენტაციის პროცესი შეაფასონ „peer to peer“⁵⁴ -ის გამოყენებით.⁵⁵

1.17. ხორვატია⁵⁶

ხორვატიის პარლამენტი ხორვატიის მთავრობასთან ერთად იღებდა მონაწილეობას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, რითაც მხარს უჭერდა სახელმწიფო ორგანიზაციების ღიაობას და გამჭვირვალობას და მოქალაქეების ჩართულობას საკანონმდებლო პროცედურების განხორციელებაში. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არა მხოლოდ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ ჩართულები იყვნენ გეგმის განხორციელების და მონიტორინგის პროცესშიც.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შეთანხმდნენ, რომ გამჭვირვალობა იქნებოდა სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის მთავარი პრინციპი და გამოკვეთეს მიმართულებები, სადაც აუცილებელი იქნებოდა აქტივობების განხორციელება სფეროების შემდგომი გამჭვირვალობისათვის. ამ მიმართულებებს შორის გამოყვეს: ფისკალური პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკა, საჯარო მმართველობა, არჩევნები და რეფერენდუმი და მედია.

ხორვატიას ერთ-ერთ მიმდინარე ვალდებულებად აღებული აქვს პარლამენტის ვებ-გვერდის⁵⁷ დახვეწა დეპუტატების მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მეტი გამჭვირვალობისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პლენარული სხდომების დროს კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება

⁵⁴ “Peer to peer”(P2P) – არის დეცენტრალიზებული კომუნიკაციის მოდელი, რომელშიც თითოეული მხარეს აქვს თანაბარი შესაძლებლობები და მხარეს შეუძლია წამოიწყოს საკომუნიკაციო სხდომა, <http://searchnetworking.techtarget.com/definition/peer-to-peer>.

⁵⁵ Chile Action Plan 2014–2016, გვ.5,

<http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci%C3%B3n%202014-16%20CHILE%20OFICIAL.pdf>.

⁵⁶ Open Government Partnership Initiative, Action Plan of Republic of Croatia,

<http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Croatia%20-%20Second%20Action%20Plan%2C%202014%20-%202016.pdf>.

⁵⁷ ხორვატიის პარლამენტი, <http://www.sabor.hr/English>.



დეპუტატების მიხედვით. ასევე, იგეგმება პარლამენტის წევრების კენჭისყრის ინფორმაციის დროული და რეგულარული გამოქვეყნება, კანონების მიმოხილვა ჯამურად მიცემული ხმებისა და თითოეული დეპუტატის მიერ მიცემული ხმის მიხედვით. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ხორვატიის პარლამენტის ბიუჯეტისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და პარლამენტის თითოეული წევრის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებას. ხორვატიის სამოქმედო გეგმაში პარლამენტის ვებ-გვერდის დახვეწის ინდიკატორები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

- კენჭისყრის შედეგების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის რეგულარულად და დროულად გამოქვეყნება;
- პლენარული სესიების დროს ხმათა მთლიანი ოდენობის და პარლამენტის წევრის ინდივიდუალური კენჭისყრის შედეგის გამოქვეყნება;
- კომიტეტის შეხვედრების ოქმების განთავსება, რომელიც უნდა შეიცავდეს კომიტეტის წევრთა სახელებს ანბანური სიის მიხედვით, ასევე, აღინიშნოს, თუ ვინ ესწრებოდა კენჭისყრას და რა გადაწყვეტილება მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობის დროს თითოეულმა მონაწილემ;
- პარლამენტის ვებ-გვერდზე ხორვატიის პარლამენტის ბიუჯეტისა და ფაქტიური დანახარჯების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

2. OGP-ის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული

სარეკომენდაციო ვალდებულებები

2.1. შესავალი

საპარლამენტო ღიაობა უმნიშვნელოვანესია პარლამენტის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის. www.openingparliament.org-მა,⁵⁸ რომელიც წარმოადგენს

⁵⁸ Open Parliament, <http://www.openingparliament.org/>.



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების ფორუმს, შეიმუშავა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაცია.⁵⁹

საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის მიხედვით, პარლამენტის ღიაობა „საშუალებას აძლევს მოქალაქეებს მიიღონ ინფორმაცია პარლამენტის საქმიანობის შესახებ, ხელს უწყობს მოქალაქეების ჩართულობას საკანონმდებლო პროცესში, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს აკონტროლონ პარლამენტარების ანგარიშვალდებულება და უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების წარმოჩენას“.⁶⁰ სწორედ მოქალაქეებთან კავშირი აძლიერებს პარლამენტის ლეგიტიმურობის ხარისხს და უბიძგებს პარლამენტს, რომ ხელი შეუწყოს ხელისუფლებაში ღიაობის კულტურის დამკვიდრებას.

ქვეყნები სხვადასხვა გზით ცდილობენ გახადონ პარლამენტი უფრო ღია და გაზარდონ მოქალაქეების ჩართულობა.

როგორც აღვნიშნეთ წინამდებარე დოკუმენტის შესავალ ნაწილში, „ღია მმართველობის გზამკვლევი“⁶¹ წარმოადგენს დამხმარე წყაროს მთავრობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და შეიცავს საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო ვალდებულებებს,⁶² რომლებიც მათი იმპლემენტაციის სირთულისა და სავარაუდო ეფექტიანობის მიხედვით ოთხ საფეხურად იყოფა:

1. პირველი საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

- a. პარლამენტის ღიაობისა და სანდოობის შესახებ წესების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

⁵⁹ Declaration on Parliamentary Openness, <http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.

⁶⁰ Declaration on Parliamentary Openness, <http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.

⁶¹ ღია მმართველობის გზამკვლევი, <http://www.opengovguide.com/about-this-guide/>.

⁶² Open Government Guide, <http://www.opengovguide.com/topics/parliaments/>.



- b. საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- c. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე.

2. მეორე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

- a. საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაგებად მიწოდება სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით;
- b. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა მათი პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით;
- c. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ღია ფორმატში (OpenData).

3. მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

- a. ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით სამიზნე ჯგუფად ახალგაზრდების და მოწყვლადი ჯგუფების გამოყოფა;
- b. ციფრული პლატფორმების შემუშავება პარლამენტში მოქალაქეების ჩართულობის გასაძლიერებლად;
- c. პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული პროცედურების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო პრაქტიკასთან.

4. მეოთხე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

- a. პარლამენტის მონაცემების მართვის ღია ელექტრონული სისტემის შემუშავება და განვითარება;
- b. პარლამენტსა და პარლამენტის წევრებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა მობილური და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებით.



ნაშრომის მეორე თავში თითოეული სარეკომენდაციო ვალდებულება ცალკე იქნება განხილული და მოყვანილი იქნება შესაბამისი მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკიდან.

2.2. პირველი საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

2.2.1. საპარლამენტო ღიაობისა და სანდოობის შესახებ წესების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა

იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლონ საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის მიღება, საჭიროა, რომ მათ ესმოდეთ საკანონმდებლო პროცესში ჩართულობის წესები და ენდობოდნენ მათ.⁶³ ღიაობასთან დაკავშირებით წესების შემოღება პირველი ნაბიჯი იქნება იმის საჩვენებლად, რომ პარლამენტი იღებს ვალდებულებას წარმოაჩინოს მოქალაქეების საჭიროებები და დაეხმაროს მათ გაერკვნენ მათთვის რთულად აღსაქმელ სფეროში.

პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული წესები შეიძლება განსაზღვრული იყოს კონსტიტუციაში, კანონებში, წესდებებში და სხვა რეგულაციებში. ამავდროულად, ღიაობის პოლიტიკა შესაძლოა გულისხმობდეს ზოგიერთი ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვას.

მოქალაქეების უფლება, მიიღონ ინფორმაცია პარლამენტის საქმიანობის შესახებ, მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებასთან, რაც შესაძლოა გამყარებული იყოს კანონქვემდებარე აქტებით ან ქცევისა და ეთიკის კოდექსებით.

⁶³ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 220,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა ეტაპზეა პარლამენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის მოთხოვნები, როდესაც ასაჯაროებენ ისეთი სახის ინფორმაციას, როგორცაა სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული მონაცემები, ადმინისტრაციული და სხვა სახის დანახარჯები, ურთიერთობა ლობისტურ ჯგუფებთან და სხვა ინფორმაცია.

www.openingparliament.org-ის პარლამენტის ღიაობის დეკლარაციის მიხედვით „პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტის ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას და განსაზღვრავს ამ ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმატს“.⁶⁴ პარლამენტის ღიაობის დეკლარაცია ეხმიანება 2004 წლის ერთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაციისა (CPA) და მსოფლიო ბანკის ინსტიტუტის (WBI) სამუშაო ჯგუფის დასკვნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასკვნების მიხედვით, საჭიროა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პარლამენტის საქმიანობის რეგულარული გადახედვა, მაგალითად ორ წელიწადში ერთხელ. „დემოკრატიული კანონმდებლობის სტანდარტებში“⁶⁵ ერთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაცია ასევე აღნიშნავს რომ „კანონმდებლობა უნდა ავალდებულებდეს კანონშემოქმედებს სრულად გაასაჯაროონ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა და ბიზნეს ინტერესები“.⁶⁶ დასახელებულ სტანდარტს ეთანხმება ფრანკოფონული ქვეყნების საპარლამენტო ასოციაცია (APF),⁶⁷ ამერიკის საპარლამენტო კონფედერაცია (COPA),⁶⁸ სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმი (SADC-PF)⁶⁹ და www.openingparliament.org.⁷⁰

⁶⁴ Declaration on Parliamentary Openness,

<http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.

⁶⁵ World Bank Institution, Recommended Benchmarks for Democratic Legislature, 2006, გვ. 6,

http://www.cpahq.org/cpahq/Mem/Annual_Conference/United_Kingdom_2011/57th_CPC_Plenary_Papers/Recommended_Benchmarks_for_Democratic_Legislatures.aspx

⁶⁶ იქვე, 10.1.3, გვ. 10.

⁶⁷ Australian Privacy Foundation, Privacy Cause of Action; and Data Retention,

<https://www.privacy.org.au/Papers/ACTAG-Rt-DR-150301.pdf>.

⁶⁸ Parliamentary Confederation of the Americas, <http://www.copa.qc.ca/eng/>.

⁶⁹ Southern African Development Community, <http://www.sadc.int/about-sadc/sadc-institutions/sadc-parliamentarian-forum/>.

⁷⁰ Open Parliament, <http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.



აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:⁷¹

1. პარლამენტის საქმიანობის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე მოქალაქეების უფლების აღიარება. აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობს მოქალაქეებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლების მინიჭებას, იმისათვის, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება პარლამენტში განხილულ საკითხებთან და მათ მიერ არჩეულ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით.
2. პარლამენტში არსებული ინფორმაციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის შეფასება, რაც მოიცავს პარლამენტში დოკუმენტბრუნვისა და შესაბამისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხარისხის განსაზღვრას. კვლევამ აგრეთვე აქცენტი უნდა გააკეთოს სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის პრევენციასა და პარლამენტის წევრების ფინანსური ინტერესების გასაჯაროებაზე.
3. სამუშაო გეგმის შემუშავება პარლამენტის ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად.
4. საპარლამენტო ეთიკის წესების შექმნა. აღნიშნული წესები მოიცავს პარლამენტის წევრების ქონებისა და საპარლამენტო საქმიანობის გარეთ მიღებული შემოსავლის გასაჯაროებას, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას და ეთიკის კომისიის ან ამ საკითხებზე პასუხისმგებელი სხვა დაწესებულების შექმნას.
5. შესაძლებლობის მიცემა მოქალაქეებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში.
6. მოქალაქეებისთვის სახელმძღვანელოს შექმნა, სადაც გასაგებად იქნება ახსნილი პარლამენტის გამჭვირვალობასთან და ღიაობასთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები და პარლამენტის წევრების ეთიკური ვალდებულებები.

⁷¹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 220,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



7. პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლების განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, იმისათვის, რომ შეიძინონ ღიაობისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებისთვის საჭირო უნარები.

აღნიშნული ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელების კუთხით საინტერესოა ინდოეთის და მექსიკის გამოცდილება.

ინდოეთში ამომრჩეველს აქვს უფლება⁷², მიიღოს ინფორმაცია პარლამენტის არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი კანდიდატის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. 2003 წლიდან რეგულარულ პრაქტიკად იქცა კანდიდატების მიერ პარლამენტისთვის ოფიციალური დეკლარაციის წარდგენა, სადაც ასახულია მისი და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობა. ინდოეთის საარჩევნო კომისიის მოთხოვნით, აღნიშნული დეკლარაციები საჯაროა და საშუალებას აძლევს ამომრჩეველს შეიტყოს კანდიდატის წარსული საქმიანობის შესახებ. მას შემდეგ რაც კანდიდატი გაიმარჯვებს არჩევნებში, მისთვის სავალდებულო ხდება ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა პარლამენტის წევრის თანამდებობის დაკავებიდან 90 დღის განმავლობაში. ამას გარდა მას მოეთხოვება ფინანსური ინსტიტუტებისა და ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების წინაშე არსებული ვალდებულებების წარდგენა.

საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის შესაბამისად მექსიკაში განხორციელდა სენატის გამჭვირვალობის პოლიტიკის ანალიზი⁷³, რის შედეგადაც მექსიკის სენატის გამჭვირვალობის კომიტეტმა შეიმუშავა სამუშაო გეგმა საპარლამენტო ღიაობის შესახებ. აღნიშნული კვლევა განხორციელდა პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია PMO Fundar-ის დახმარებით.⁷⁴

⁷² Parliament and citizens bridging the gap through greater Transparency, გვ.16, http://www.humanrightsinitiative.org/publications/rti/parl_citizens_bridging_gap_thro_greater_transparency.pdf.

⁷³ Opening Parliament, Lessons on networking and advocacy from Mexico, <http://blog.openingparliament.org/post/45116039342/lessons-on-networking-and-advocacy-from-mexico>.

⁷⁴ Parliamentary Monitoring Community, <http://blog.openingparliament.org/post/53779355992/pmo-news-update-vol-24>.



2.2.2. საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

აღნიშნული ვალდებულების პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით, პირველი ნაბიჯია საჯარო განხილვების ინსტიტუციონალიზაცია, რაც მოქალაქეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს. ამას გარდა, პარლამენტები სულ უფრო ხშირად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის მიზნით.

ერთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაციამ დაამტკიცა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც: „საზოგადოებას უნდა მიეცეს საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა“⁷⁵, რასაც უერთდება სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმი⁷⁶ და ამერიკის საპარლამენტო კონფედერაცია⁷⁷. საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის უფლება ასევე განმტკიცებულია პარლამენტის ღიაობის დეკლარაციის მიერ. აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:⁷⁸

1. საჯარო საკომიტეტო განხილვების მოწყობა იმისათვის, რომ მოქალაქეებმა გამოხატონ საკუთარი აზრი კანონპროექტთან დაკავშირებით.
2. მოქალაქეებისთვის შესაძლებლობის მიცემა წერილობითი კომენტარები გააკეთონ კანონებზე.
3. პარლამენტის წევრებსა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა.

⁷⁵ Commonwealth Network, http://www.commonwealthofnations.org/sectors-south_africa/civil_society/.

⁷⁶ Southern African Development Community Parliamentary Forum, http://www.osisa.org/sites/default/files/sadc_parliamentary_forum_benchmarks_for_democratic_legislatures.pdf.

⁷⁷ Parliamentary Confederation of the Americas, <http://www.copa.qc.ca/eng/>.

⁷⁸ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 222-223,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



საერთაშორისო პრაქტიკაში, საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებით, საინტერესოა სამხრეთ აფრიკის პარლამენტის⁷⁹ გამოცდილება, სადაც პარლამენტის ვებ-გვერდზე არის განმარტებული მოქალაქეებისათვის, თუ რა ფორმით გააგზავნონ პარლამენტში საკუთარი მოსაზრებები. მოქალაქის მიერ გაგზავნილი მოსაზრებები შეიძლება ეხებოდეს როგორც საკანონმდებლო, ასევე პარლამენტში განხილვის პროცესში მყოფ ნებისმიერ საკითხს. ვებ-გვერდზე ხაზგასმულია, რომ სამხრეთ აფრიკის პარლამენტი მოუწოდებს მოქალაქეებს - მიმართონ პარლამენტს და მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო საქმიანობაში.

PARLIAMENT
OF THE REPUBLIC OF SOUTH AFRICA

HOME OUR PARLIAMENT BUSINESS OF PARLIAMENT OFFICE-BEARERS & MEMBERS PARTICIPATE IN PARLIAMENT PUBLICATIONS

SUBMISSIONS
You are Here: > [Participate In Parliament](#) > Submissions

The South African Constitution makes provision for public involvement in lawmaking, oversight and other processes of Parliament. South Africa's democratic system not only provides for citizens to elect their representatives, but also allows citizens to have a say in matters that affect them.

One of the ways that the public can make their voices heard is by making submissions to the National Assembly Committees, the National Council of Provinces Committees or Joint Committees.

For submissions from the public to be effective, content and format need to be considered carefully.

It is important that a submission is easily read and understood by the Members of committees.

DID YOU KNOW?
The room in which a House meets to debate is called a "Chamber".
[Read more](#)

საინტერესოა ასევე უგანდის გამოცდილება, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და წარუდგინონ პარლამენტს საკუთარი პოზიცია.⁸⁰

შვედეთში, პარლამენტმა ქვეყნის მასშტაბით გახსნა რეგიონული ცენტრები, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ პარლამენტის შესახებ საგანმანათლებლო და

⁷⁹ Parliament of the Republic of South Africa, Submissions, http://www.parliament.gov.za/live/content.php?Category_ID=53.

⁸⁰ African Parliamentary Index (API) A Report for Seven African Countries, გვ.169, <http://www.parlcent.org/en/wp-content/uploads/2011/09/API-African-Parliamentary-Index.pdf>.



საინფორმაციო მასალები და თვალ-ყური ადევნონ საპარლამენტო საქმიანობას პირდაპირ ეთერში. ამავდროულად, ეს ცენტრები წარმოადგენს შეხვედრის ადგილებს პარლამენტის წევრებსა და მოქალაქეებს შორის.



2.2.3. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

მსოფლიოს თითქმის ყველა პარლამენტს აქვს ვებ-გვერდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს მიიღონ ინფორმაცია პარლამენტის შესახებ. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ინტერნეტის გავრცელების ხარისხი დაბალია, ინფორმაციის ონლაინ განთავსება ხელმისაწვდომს ხდის ამ ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, მედიისთვის და მოქალაქეებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ინფორმაციის გავრცელებაში. თუმცა ბევრი პარლამენტი არ აქვეყნებს მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტაციას, რაც აუცილებელი შეიძლება იყოს მოქალაქეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად.



პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:⁸¹

1. პარლამენტის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შემოღება, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის მინიმალური ინფორმაციის გასაჯაროებას:

- ინფორმაცია პარლამენტის როლისა და ფუნქციების შესახებ;
- ინფორმაცია საკანონმდებლო პროცესის შესახებ;
- დღის წესრიგი და შეხვედრები;
- ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ;
- პარლამენტთან არსებული ინსტიტუტები და კომიტეტები.

2. მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში შემდეგი ფაქტორების უზრუნველყოფა:

- ინფორმაციის სიზუსტე;
- ინფორმაციის ვადების დაცვით მიწოდება;
- ინფორმაციის სისრულე.

3. მოქალაქეებისათვის საპარლამენტო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვებისა და სხვა ბარიერების შემცირება ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათვალისწინებით:

- მარტივი და კომპლექსური ძიების ფუნქციებით უზრუნველყოფა;
- დოკუმენტებზე უსასყიდლო წვდომა და მათი საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტად აღქმა;

⁸¹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 224,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



- პარლამენტის ინფორმაციის მომხმარებელთა კონფიდენციალობის დაცვა;
- სამართლებრივი და ტექნოლოგიური სირთულის მქონე ტერმინოლოგიის შემცირება;
- ინფორმაციის გამოქვეყნების ისეთი ფორმების გამორიცხვა, რომელთა ნახვაც მხოლოდ პატენტის მქონე პროგრამული უზრუნველყოფით არის შესაძლებელი;
- პარლამენტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის ძიების სირთულის შემცირება.

დასახელებული ვალდებულების პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით საინტერესოა ახალი ზელანდიის გამოცდილება. ახალი ზელანდიის პარლამენტის ვებ-გვერდი www.parliament.nz გამოირჩევა ინფორმაციაზე ადვილი წვდომით. ვებ-გვერდს აქვს პირდაპირი ჩვენების და სიახლეების ელ-ფოსტაზე გამოწერის ფუნქცია.

The screenshot shows the New Zealand Parliament website. The header includes the logo and the text 'NEW ZEALAND PARLIAMENT PAREMATA AOTEAROA'. A search bar is located on the right. The main navigation menu on the left includes sections like 'About our Parliament', 'How Parliament works', 'Get involved', 'Visiting and tours', 'Education', 'See and hear Parliament', 'History and buildings', 'Parliamentary business', 'MPs, parties and electorates', 'Parliamentary support', and 'Parliament TV'. The main content area is titled 'Webcast of Select Committees Live streaming'. It contains a message: 'Select Committee Webcast There is no meeting in progress' and 'Please check the website for Meeting schedules'. Below this is a link for 'Alternate Player'. The right sidebar includes 'Content provider' (House of Representatives), 'Downloads' (Webcasting of select committees pilot [PDF 62KB], Frequently asked questions [PDF 55KB], Parliamentary Calendar and House Sitting Programme [PDF 29KB]), and 'Related links' (Standalone player, Select Committees, Schedule of select committee meetings, Evidence).



შვედეთის პარლამენტის ვებ-გვერდზე www.riksdagen.se რამდენიმე ენაზეა ინფორმაცია განთავსებული. საჯაროდ ხელმისაწვდომია ინფორმაცია პარლამენტის წევრებისა და მათი საქმიანობის შესახებ, კანონმდებლობა, ინფორმაცია ამომრჩეველთა შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აშშ-ს წარმომადგენელთა პალატამ 2011 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა „ელექტრონული ინფორმაციის განთავსების სტანდარტები“.⁸² სტანდარტების მიზანია ხელმისაწვდომი გახადოს წარმომადგენელთა პალატისა და კომიტეტების მიერ განხილული საკანონმდებლო აქტები. პერიოდულად ხდება სტანდარტების განახლება. ასევე, წარმომადგენელთა პალატის მიერ ელექტრონული ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ე. წ. XML სტანდარტები.⁸³

⁸² Committee on House Administration, <http://cha.house.gov/member-services/electronic-posting-standards>.

⁸³ Legislative Documents in XML at the United States House of Representatives, <http://xml.house.gov/>.



Legislative Documents in XML at the United States House of Representatives



2.3. მეორე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

2.3.1. საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაგებად მიწოდება სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით

თანამედროვე საზოგადოებაში მოქალაქეები ინფორმაციას სულ უფრო მრავალფეროვანი არხების გამოყენებით იღებენ. პარლამენტი უნდა მიისწრაფოდეს, რომ ინფორმაცია სხვადასხვა ფორმატის გამოყენებით გახადოს ხელმისაწვდომი და მუდმივად ცდილობდეს მოქალაქეების მხრიდან უკუკავშირის მიღებას.

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ არსებობს განსხვავება ერთი მხრივ ინფორმაციაზე წვდომასა და მეორე მხრივ გამოქვეყნებული ინფორმაციის აღქმასა და ეფექტურად გამოყენებას შორის. პარლამენტები აცნობიერებენ, რომ კანონპროექტები და სხვადასხვა სამართლებრივი აქტები მოქალაქეებისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ახსნილი.⁸⁴

⁸⁴ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 226,
<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:⁸⁵

1. კანონპროექტებისათვის განმარტებების შემცველი ინფორმაციის დართვა. დეპუტატების მსგავსად, სასურველია, რომ პარლამენტმა მოქალაქეებისთვისაც მოამზადოს საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული მასალები (გასაგებ ენაზე დაწერილი ეკონომიკური ანალიზი, კანონპროექტის განმარტებითი ბარათები, სხვადასხვა სახის ანგარიშები, დასკვნები და ა. შ.). ასეთი სახის ინფორმაციაზე წვდომის შემთხვევაში მოქალაქეს ექნება საკანონმდებლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.
2. სამოქალაქო განათლებისთვის რესურსების გამოყოფა. მრავალი პარლამენტი გამოყოფს საგანმანათლებლო რესურსებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის სკოლის მოსწავლეებისთვის, რათა დაეხმაროს მათ უკეთ გააცნობიერონ პარლამენტის მუშაობის წესი.
3. მედიაში ფართო გაშუქების მხარდაჭერა. მრავალი პარლამენტი მხარს უჭერს საპარლამენტო საქმიანობის მედიაში გაშუქებას სტუდიებისა და მედია ოფისების პარლამენტში მოწყობის გზით. ზოგ პარლამენტს ასევე ჰყავს საკუთარი მედია გუნდი.
4. პარლამენტში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის მრავალფეროვანი არხების უზრუნველყოფა. მრავალი პარლამენტი ამზადებს დებატების ჩანაწერს (ადვილად გადმოსაწერ ფორმატში), რაც საზოგადოებაში საკითხების განხილვისას სიზუსტის დაცვისთვის არის მნიშვნელოვანი. ამას გარდა, ბევრი პარლამენტი აშუქებს პლენარულ და კომიტეტის სხდომებს პირდაპირი ეთერით ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გაშუქება მოხდეს ლაივსტრიმ ფორმატში ინტერნეტის საშუალებით.
5. პარლამენტის საინფორმაციო ან სტუმრების ცენტრის შექმნა. პლენარულ სხდომაზე ფიზიკური დასწრება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების

⁸⁵ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 226-227,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



საშუალებაა, არამედ ასევე სიმბოლურ ხასიათს ატარებს პარლამენტის ღიაობის ხაზგასასმელად. პარლამენტი საინფორმაციო ან სტუმრების ცენტრებს ხსნის, რათა მოქალაქეებს საშუალება მისცეს დააკვირდნენ პარლამენტის მუშაობის პროცესს, შიგნიდან გაეცნონ საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობას და პირველწყაროდან მიიღონ ინფორმაცია პარლამენტის შესახებ.

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისათვის საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ამ მხრივ ღია მმართველობის გზამკვლევი გამოყოფს სლოვენიას, ნიდერლანდებს და დიდ ბრიტანეთს.

სლოვენის პარლამენტში პლენარული სხდომების დროს 100 ადგილი არის გამოყოფილი საზოგადოების წევრებისთვის, ხოლო პარლამენტის შენობა ყოველ ორ კვირაში ერთხელ ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის.⁸⁶

ნიდერლანდების სამეფოში პლენარულ სხდომებზე დასწრება 240 მსურველს შეუძლია. კომიტეტის სხდომები იმართება რამდენიმე დარბაზში, რომელთა ადგილების რაოდენობა 24-დან 208-მდე მერყეობს.⁸⁷

დიდ ბრიტანეთში საზოგადოებას შეუძლია თვალი ადევნოს ორივე პალატის პლენარულ სხდომებსა და ვესტმინსტერის დებატებს საზოგადოებისთვის გამოყოფილი გალერეიდან.⁸⁸

2.3.2. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა მათი პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით

⁸⁶ Open Government Guide, <http://www.opengovguide.com/country-examples/in-slovenia-the-netherlands-and-the-uk-the-public-may-attend-a-plenary-or-committee-session-without-prior-arrangement/>.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ Open Government Guide, <http://www.opengovguide.com/country-examples/in-slovenia-the-netherlands-and-the-uk-the-public-may-attend-a-plenary-or-committee-session-without-prior-arrangement/>.



„ღია მმართველობის გზამკვლევი“ ხაზს უსვამს მოქალაქეებისა და საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების (PMO) ჩართულობის მნიშვნელობას საპარლამენტო საქმიანობაში.⁸⁹ საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა სხვადასხვა ინოვაციური საშუალებები (მაგალითად, ინტერნეტ აპლიკაციები) შეიმუშავეს იმისათვის, რომ ინფორმაცია პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის შესახებ უფრო მარტივად აღქმადი და გამოყენებადი გამხდარიყო. საპარლამენტო საქმიანობის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას. „ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, მოქალაქეებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია კერძო კომპანიების მიერ შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ და მოახდინონ საკანონმდებლო პროცესის ვიზუალიზაცია.⁹⁰

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:⁹¹

1. პარლამენტის ღიაობისთვის ხელის შესაწყობად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ან საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება.
2. საპარლამენტო „ჰაკატონების“ და სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიების ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების დახმარებით პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების უკეთ გამოყენებას.
3. ანგარიშვალდებულების, ღიაობის და გამჭვირვალობის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებელი კომიტეტების შექმნა, რაც გულისხმობს

⁸⁹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 227-228, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

⁹⁰ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 228, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

⁹¹ იქვე.



პარლამენტის წევრების ჩართულობის გაძლიერებას გამჭვირვალობასა და ღიაობასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვაში.

4. ახალი ოპერაციული მოდელების ინტეგრირება დაინტერესებულ ჯგუფებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული სარეკომენდაციო ვალდებულების პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით საინტერესოა ლატვიური გამოცდილება. კერძოდ, www.manabalss.lv⁹² სამოქალაქო საზოგადოების მიერ შექმნილი ლატვიური ვებ-გვერდია, რომელიც მოქალაქეებს კანონპროექტის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენის საშუალებას აძლევს. კანონპროექტი პარლამენტის მიერ განხილვა იმ შემთხვევაში თუ მის პარლამენტში წარდგენას 10000 მოქალაქე მაინც დაუჭერს მხარს.⁹³ ვებ-გვერდზე სამოქალაქო აქტივიზმის შედეგად უკვე მიღებულია ორი ახალი კანონი.




PAR LATVIJU, BRĪVU NO ĢMO !!

Nosargāsim savu zemi un bērņus ! Tagad par ĢMO audzēšanu Latvijā izlemj pašvaldības un paši ĢMO ražotāji, un daudzi par to neko nezina. Pieprasām steidzami pieņemt LIKUMU, kurš stingri reglamentē ĢMO audzēšanu un tirgošanu Latvijā !



MARIHUĀNAS DEKRIMINALIZĀCIJA

Lai nedraudētu sods par marihuānas lietošanu, glabāšanu un audzēšanu nelielos daudzumos personiskām vajadzībām personām, kuras ir sasniegušas 18 gadu vecumu.



SAMAZINĀT PVN ELEKTRĪBAI UN GĀZEI

Samazināt PVN likmi elektroenerģijai un dabasgāzei no 21 procenta līdz 12 procentiem. Šogad tarifs elektroenerģijai pieaugs par 6%, dabasgāzei tarifs pieaugs 2014.gadā, tā ir vienīgā iespēja izlīdzināt iedzīvotāju izmaksas.



⁹² Social Initiative Platform, <https://manabalss.lv/>.

⁹³ იქვე.



არასამთავრობო სექტორის პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გამოყოფს ასევე არგენტინის გამოცდილებას. არგენტინის დეპუტატების პალატის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს⁹⁴ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციასთან. მემორანდუმის მეშვეობით დეპუტატთა პალატამ აიღო მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეესტრის შექმნის ვალდებულება, რაც მათ გაუადვილებს კომიტეტებსა და პლენარულ სესიებზე მონაწილეობას. ამას გარდა, მემორანდუმი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შიდა რეგულაციის ხელშეწყობა და საკანონმდებლო გამჭვირვალობის მუდმივი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

2.3.3. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ღია ფორმატში

თითქმის ყველა პარლამენტი იყენებს ინტერნეტს მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად, თუმცა ხშირად განთავსებული ინფორმაციის ფორმატი არ იძლევა ამ ინფორმაციის დამუშავების საშუალებას, რაც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.⁹⁵ პარლამენტის ინფორმაციის განთავსება სასურველ ფორმატში (რომლის ელექტრონული გზით დამუშავება, ხელახლა გამოყენება და გამოქვეყნება შესაძლებელია), ამ ინფორმაციას უფრო ხელმისაწვდომს გახდის მოქალაქეებისთვის. ეს დაეხმარება მოქალაქეებს განავითარონ საკუთარი პროგრამები და აპლიკაციები იმისათვის, რომ ინფორმაცია უფრო საინტერესო, სასარგებლო და გასაგები იყოს. მრავალი პარლამენტი დარწმუნდა, რომ გარდა ინოვაციების განვითარების ხელშეწყობისა, დასახელებულ ფორმატს სხვა დადებითი მხარეებიც გააჩნია, მაგალითად, ეფექტიანობა და რესურსების დაზოგვა. ამ მიზნების

⁹⁴ Carta Compromiso, <http://www.directoriolegislativo.org/fotos/2012/11/Carta-de-Compromiso-con-HCDN.pdf>.

⁹⁵ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 229,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



გათვალისწინებით „საპარლამენტთაშორისო კავშირი“ (IPU)⁹⁶ აცხადებს, რომ „კანონპროექტებისა და პარლამენტის სხვა დოკუმენტაციის შემუშავებისას გამოყენებულ უნდა იქნას ღია დოკუმენტის სტანდარტები, როგორცაა XML. საბოლოოდ კი ყველა დოკუმენტი, მონაცემი და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ღია სტანდარტების საშუალებით“.⁹⁷ ამას გარდა, IPU მოუწოდებს ქვეყნებს საკუთარი პარლამენტების ვებ-გვერდებზე განავითარონ პარლამენტის ფაილების მაღალი სიჩქარით გადმოწერის შესაძლებლობა,⁹⁸ რასაც ასევე პარლამენტის ღიაობის დეკლარაციაც⁹⁹ ითვალისწინებს.

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:¹⁰⁰

1. ღია მონაცემთა პრინციპების შესაბამისად საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული პოლიტიკა დაარეგულირებს ინფორმაციის განთავსების ადგილს და ფორმატს. რამდენიმე პარლამენტმა და მთავრობამ უკვე შეიმუშავა აღნიშნული პოლიტიკა, რომელმაც ღია მონაცემების პრინციპების დანერგვას შეუწყო ხელი.¹⁰¹
2. სპეციალური ვებ-გვერდების შექმნა, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ საკანონმდებლო ინფორმაცია სასურველ ფორმატში ნახონ.
3. პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის გადმოწერის შესაძლებლობა ან აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის (API) დანერგვა. დაუმუშავებელ ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანია IT-დეველოპერებისთვის. „ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ IT-დეველოპერები დაინტერესებულები არიან ახალი ვებ-

⁹⁶ Guidelines for Parliamentary Websites, <http://www.ipu.org/PDF/publications/web-e.pdf>.

⁹⁷ იქვე, გვ. 14.

⁹⁸ Guidelines for Parliamentary Websites, <http://www.ipu.org/PDF/publications/web-e.pdf>, გვ. 14.

⁹⁹ Declaration on Parliamentary Openness,

<http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.

¹⁰⁰ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 229-230,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹⁰¹ იქვე.



გვერდების შექმნით, ხოლო ახალი ვებ-გვერდების შექმნა დაეხმარება მოქალაქეებს პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგებასა და ანალიზში.¹⁰²

4. ინფორმაციის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ ფორმატში გამოქვეყნება. გაერომ მხარი დაუჭირა ყველა სამართლებრივი დოკუმენტისთვის Akoma Ntoso¹⁰³-ს ფორმატის გამოყენებას.¹⁰⁴

აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულების განხორციელების თვალსაზრისით საინტერესოა ბრაზილიის და იტალიის გამოცდილება.

ბრაზილიის დეპუტატთა პალატის „ღია მონაცემების სტანდარტის“¹⁰⁵ მიხედვით, საპარლამენტო მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გარეშე. ამავდროულად, საპარლამენტო მონაცემები არ წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრებისა ან კომერციულ საიდუმლოების საგანს. დაშვებულია მხოლოდ გონივრული შეზღუდვები პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. ბრაზილიის დეპუტატთა პალატას საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დიდი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ღია მონაცემების ვებ-გვერდზე.¹⁰⁶

იტალიის სენატმაც, ასევე, დაამტკიცა „ღია მონაცემების სტანდარტები“ Akoma Ntoso-ს ფორმატზე დაყრდნობით. სენატის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ყველა კანონპროექტი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ გავრცელებულ HTML, PDF, ან ePub ფორმატებში, არამედ XML ფორმატშიც.¹⁰⁷

¹⁰² იქვე.

¹⁰³ Akoma Ntoso პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ დაუმუშავებელ ინფორმაციას აქვეყნებს ტექნოლოგიურად ნეიტრალური ელექტრონული საშუალებების (XML ფორმატში) გამოყენებით. Akoma Ntoso მიზნად ისახავს ინსტიტუტებსა და ქვეყნებს შორის სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთგაცვლის ერთიანი სტანდარტის შემოღებას <http://www.akomantoso.org/>.

¹⁰⁴ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 229-230,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹⁰⁵ Open Parliament Guide-Brazil, <http://www.opengovguide.com/country-examples/brazil-open-data-standard/>.

¹⁰⁶ Open Data Webpage, <http://www2.camara.leg.br/transparencia/dados-abertos/leis-e-principios-dos-dados-governamentais-abertos>.

¹⁰⁷ Open Parliament Guide-Italy, <http://www.opengovguide.com/country-examples/the-italian-senate-has-adopted-standards-based-on-the-akoma-ntoso-format/>.



2.4. მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

2.4.1 ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით სამიზნე ჯგუფად ახალგაზრდების და მოწყვლადი ჯგუფების გამოყოფა

ყველა ქვეყნის პარლამენტის მნიშვნელოვანია ამოცანაა ხელი შეუწყოს საპარლამენტო საქმიანობაში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას. აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გათვალისწინებულია შემდეგი რეკომენდაციები:¹⁰⁸

1. მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირება, მაგ. სკოლების სამოქალაქო განათლების გაძლიერების პროგრამებით.
2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.
3. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა. სასკოლო პროგრამების, ახალგაზრდული პარლამენტებისა და სხვა აქტივობების მეშვეობით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა.
4. კრეატიული მიდგომების დანერგვა. მაგალითად, მოქალაქეთა დებატების წახალისება პარლამენტში საკანონმდებლო საქმიანობაში მათი ჩართულობისა და იდეების ურთიერთგაცვლის გაზრდის მიზნით.

აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულებასთან მიმართებაში საინტერესოა აშშ-ს გამოცდილება. აშშ-ში სახელმწიფო კანონმდებლების ეროვნული კონფერენცია (NCSL)

¹⁰⁸ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 231-232,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



ახორციელებს პროგრამას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კონგრესის წევრებს ყველა შტატში პირადად შეხვდნენ ახალგაზრდებს, გაუზიარონ მოსაზრებები და უპასუხონ მათ შეკითხვებს. პროგრამის მიზანია, ასწავლოს ახალგაზრდებს, თუ რას ნიშნავს იყო კონგრესის წევრი და გააცნოს წევრობასთან დაკავშირებული გამოწვევები.¹⁰⁹

საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით საინტერესოა ასევე მექსიკის გამოცდილებაც. კერძოდ, მექსიკის სენატმა დაიწყო დოკუმენტების თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ამ ინიციატივის ავტორია „ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კომიტეტი“ და „აბორიგენი მოსახლეობის ინსტიტუტი“. ინიციატივა მიზნად ისახავს არა-ესპანურენოვანი მოქალაქეების პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფას.¹¹⁰

2.4.2. ციფრული პლატფორმების შემუშავება პარლამენტში მოქალაქეების ჩართულობის გასაძლიერებლად

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პარლამენტი ცდილობს მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით ახალი მეთოდების დანერგვას. „პარლამენტში ინფორმაციისა და კომუნიკაციის გლობალური ცენტრის“¹¹¹ რეკომენდაციით, პარლამენტებმა უნდა გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული საშუალება, მათ შორის სოციალური მედია და მობილური ტექნოლოგიები, იმისათვის, რომ მოქალაქეებს გაუადვილონ ინფორმაციის მიღება პარლამენტის მუშაობაზე და ხელი შეუწყონ მათ ჩართულობას პოლიტიკურ დიალოგში.¹¹²

¹⁰⁹ Open Parliament Guide-USA, <http://www.opengovguide.com/country-examples/in-the-u-s-the-americas-legislators-back-to-school-programme-enables-legislators-to-meet-with-young-people/>.

¹¹⁰ Open Parliament Guide-Mexico, <http://www.opengovguide.com/country-examples/the-mexican-senate-is-translating-parliamentary-documents-to-indigenous-languages/>.

¹¹¹ The Global Centre for Information and Communication Technologies in Parliament, <http://www.ictparliament.org/>.

¹¹² ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 233,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



როგორც „საპარლამენტათმორისო კავშირის“ გენერალურმა მდივანმა აღნიშნა „პარლამენტის სოციალური მედიის გზამკვლევის“ წინასიტყვაობაში, „ერთი გაკვეთილი, რაც პარლამენტებმა ისწავლეს, არის ის, რომ ვერ დაელოდები, როდის მოვა ხალხი პარლამენტში; შენ უნდა წახვიდე იქ, სადაც ხალხია. მილიარდ ადამიანზე მეტია სოციალურ მედიაში და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება“¹¹³. სოციალური მედიის გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა ეფექტური, როდესაც ის პარლამენტის ძირითად სამუშაო პროცესთან არის დაკავშირებული. ახალი ტექნოლოგიები საშუალებს აძლევს მოქალაქეებს გააკეთონ კომენტარი კანონპროექტთან დაკავშირებით, ან გაუგზავნონ წერილი ან კითხვა დეპუტატებს საჯარო ფორუმის დახმარებით.

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გათვალისწინებულია შემდეგი რეკომენდაციები:¹¹⁴

1. სოციალურ მედიაში პარლამენტის აქტივობების ინსტიტუციონალიზაცია „საპარლამენტათმორისო კავშირის“ „პარლამენტის სოციალური მედიის გზამკვლევის“ პრინციპებზე დაყრდნობით.
2. ელ-პეტიციების ვებ-გვერდის შექმნა, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ ინიციატივა კანონპროექტთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ სხვა მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ მხარი დაუჭირონ აღნიშნულ ინიციატივას. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს მოქალაქეთა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, მოხდება კანონპროექტის განხილვა პარლამენტის მიერ.
3. კანონპროექტის შესახებ კომენტარის დატოვების მიზნით მოქალაქეებისათვის პლატფორმის შექმნა.

¹¹³ Social Media Guidelines for Parliaments, გვ. 3, <http://www.ipu.org/PDF/publications/SMG2013EN.pdf>.

¹¹⁴ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 233,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



„ღია მმართველობის გზამკვლევი“, აღნიშნული სარეკომენდაციო ვალდებულების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, გამოყოფს ბრაზილიის და ფინეთის გამოცდილებას.¹¹⁵

ბრაზილიაში დეპუტატების პალატის ელ-დემოკრატიის პლატფორმა იყენებს სოციალურ მედიასა და ახალ ტექნოლოგიებს სხვადასხვა ჯგუფების საკანონმდებლო პროცესში ჩართვის მიზნით. მაგალითად, პლატფორმის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ კანონპროექტზე კომენტარის გაკეთება და გადამოწმება, მოხდა თუ არა მათი კომენტარის კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინება.

პლატფორმა მოქალაქეებსა და კანონმდებლებს შორის ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებებს ითვალისწინებს, როგორცაა:

- Facebook, Twitter და ელ-ფოსტა;
- ონლაინ კონსულტაცია;
- ინტერაქტიული გამოკითხვა;
- საჯარო განხილვების პირდაპირ ეთერში ჩვენება;
- „ვიდეო ფორუმები“ კანონმდებლებისთვის.

ელ-დემოკრატიის პლატფორმა ამოქმედდა 2009 წლის ივნისში და 2013 წლის აგვისტოსთვის პორტალზე გაიმართა 3,000-მდე დებატი, დაიწერა 17,400 პოსტი და დარეგისტრირდა 27,400 მონაწილე.¹¹⁶

„ღია სამინისტრო“ სამოქალაქო საზოგადოების ელექტრონული პეტიციის პლატფორმაა, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ კანონპროექტი ფინეთის პარლამენტში. ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც შეურთდება

¹¹⁵ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 233-234,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.


¹¹⁶ Open Parliament Guide-Brazil, <http://www.opengovguide.com/country-examples/brazils-e-democracia-platform-allows-citizens-to-comment-on-draft-legislation/>.



არანაკლებ 50,000 მოქალაქე ავტომატურად განიხილება პარლამენტის მიერ. აქამდე 50,000 ხელმოწერა დააგროვა ისეთმა საკითხებმა, როგორცაა საავტორო უფლებების რეგულაციები, ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება და ფინელი სტუდენტებისთვის შვედური ენის არასავალდებულოდ საგნად ჩათვლა.¹¹⁷



LUONNOKSET (4)



2.4.3. პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული პროცედურების საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ პარლამენტმა მუდმივად უნდა განახლოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით აღებული ვალდებულებები.¹¹⁸ სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროა პერიოდულად გადაიხედოს პარლამენტის პოლიტიკა

¹¹⁷ Open Ministry-Crowdsourcing Legislation, <http://openministry.info/>.

¹¹⁸ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 235, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



მოქალაქეების ჩართულობასთან დაკავშირებით. სასარგებლოა, როდესაც პერიოდული გადახედვის პროცესი ინსტიტუციონალიზებულია. „საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის“¹¹⁹ მიხედვით „უნდა განისაზღვროს პერიოდული გადახედვის პირობები, იმისათვის, რომ დაინერგოს ტექნოლოგიური ინოვაციები და ახალი პრაქტიკა“.¹²⁰ ვალდებულებების სისტემატური განახლების იდეას იზიარებს როგორც „ერთა თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაციისა“ და „მსოფლიოს ბანკის“ სამუშაო ჯგუფი, ისე „პარლამენტში ინფორმაციისა და კომუნიკაციის გლობალური ცენტრი“.¹²¹

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:¹²²

1. საკანონმდებლო ღიაობის რეგულარული გადახედვის ინსტიტუციონალიზაცია, რაც მოიცავს პროცედურებისა და პრაქტიკის დანერგვას სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების ჩართულობით.
2. მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა სამომავლო სამოქმედო გეგმებში პარლამენტის ღიაობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეტანის მიზნით. OGP-ის ფარგლებში აღნიშნული ვალდებულებები შესაძლოა მთლიანად ჩართული იყოს სამოქმედო გეგმაში, ან დაერთოს დანართის სახით.
3. პარლამენტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით მონიტორინგის განხორციელება.
4. პარლამენტში ახალი კომიტეტის შექმნა ან უკვე არსებული კომიტეტისთვის ან სხვა ორგანოსთვის ოფიციალური ვალდებულების მინიჭება, რომ განახორციელოს საპარლამენტო ღიაობის და მოქალაქეების ჩართულობისკენ მიმართული ქმედებების მონიტორინგი.

¹¹⁹ Declaration on Parliamentary Openness, <http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf>.

¹²⁰ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 235, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹²¹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 235-236, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹²² ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 236, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



5. საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მიღება საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მაგალითად, პარლამენტის ღიაობის კუთხით არსებული საუკეთესო მაგალითების გასაცნობად და შესასწავლად OGP-ის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულებასთან მიმართებაში საინტერესოა ჩილეს და მექსიკის გამოცდილება.¹²³ ამ ქვეყნის პარლამენტებში, გამჭვირვალობისა და ღიაობის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაციისთვის, შექმნეს ახალი კომიტეტები ან ეს ფუნქციები მიანიჭეს უკვე არსებულ კომიტეტებს, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ჩილეს „გამჭვირვალობის ორპალატიანი კომიტეტისა“¹²⁴ და მექსიკის სენატის „ინფორმაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კომიტეტის“¹²⁵ შემთხვევაში.

2.5. მეოთხე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებები

2.5.1. პარლამენტის მონაცემების მართვის ღია ელექტრონული სისტემის შემუშავება და გავრცელება

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ ხაზგასმულია, რომ მომხმარებლების უმეტესობა ორიენტირებულია პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების შინაარსზე.¹²⁶ მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოქალაქეებმა გაიგონ თუ როგორ გამოიყენება მონაცემები პარლამენტის მიერ. მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა, რომ მონაცემები სხვა პლატფორმაზე იქნეს გადატანილი. გარდა ამისა, ღია პროგრამულ

¹²³ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 236,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹²⁴ Republica de Chile Senado,

http://www.senado.cl/prontus_senado/site/artic/20130729/pags/20130729134800.html.

¹²⁵ LXII Legislatura – Senado De La Republica,

http://transparencia.senado.gob.mx/index.php?option=com_content&view=article&id=8&Itemid=117.

¹²⁶ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 237,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.



უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა არის კიდევ ერთი დადებითი მხარე სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებს შორის ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით, რაც ბევრი ქვეყნის პარლამენტისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციურ ხარჯებს ამცირებს. „ღია მმართველობის გზამკვლევი“ აღნიშნულია, რომ ამ დროისთვის არც ისე ბევრი ქვეყნის პარლამენტს აქვს დანერგილი მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა.¹²⁷ თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის, ბრაზილიის, ნიდერლანდების სამეფოს, ავსტრიის, აშშ-ს - აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად იყენებს და ნერგავს მონაცემების მართვის ელექტრონულ სისტემებს (CKAN)¹²⁸.

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციას:¹²⁹

1. მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა ღია პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

აღნიშნული სარეკომენდაციო ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს დომინიკის რესპუბლიკის, ურუგვაის, სურინამის, ეკვადორის და დიდი ბრიტანეთი გამოცდილებას, სადაც იყენებენ Bungeni-ს¹³⁰ საინფორმაციო სისტემას. Akoma Ntoso-ს ფორმატის მიხედვით შექმნილი Bungeni-ს საშუალებით შესაძლებელია სამართლებრივი ინფორმაციის XML ფორმატში მართვა.

აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულებასთან მიმართებაში საინტერესოა დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაც. ქვეყნის მთავრობამ www.gov.uk-ის პლატფორმის

¹²⁷ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 237, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹²⁸ The Open Source Data Portal Software, <http://ckan.org/>.

¹²⁹ ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 237, <http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹³⁰ Bungeni – Open Source Parliamentary and Legislative Applications, <http://www.bungeni.org/>.



პროგრამული კოდი მსგავსი პროდუქტების მსოფლიოში ყველაზე დიდ ვებ-გვერდზე Github¹³¹-ზე განათავსა. www.gov.uk მოქალაქეებს ციფრულ სერვისებს აწვდის. ის ღია და მობილურ ტექნოლოგიებზე მორგებული პლატფორმაა.

The screenshot displays the GitHub interface for the repository 'alphagov / courts-api'. At the top, there's a search bar and navigation links for 'Explore', 'Features', 'Enterprise', and 'Blog'. Below the repository name, it states 'Provides an API for MOJ to publish courts and tribunals information to GOV.UK'. Statistics show 75 commits, 8 branches, 11 releases, and 5 contributors. A pull request #10 is open, authored by 'fatbusinessman' 24 days ago. The pull request details a list of files and their commit messages:

File	Commit Message	Time
app	Require a valid bearer token for PUT requests	2 months ago
bin	Don't specify a Ruby version in bin/* files	2 months ago
config	Require a valid bearer token for PUT requests	2 months ago
doc	Merge pull request #10 from maxf/master	24 days ago
lib/tasks	Revert "Register /courts to redirect to court finder"	27 days ago
log	Keep public/ for potential future use, but remove its contents	2 months ago
public	Keep public/ for potential future use, but remove its contents	2 months ago

2.5.2. პარლამენტსა და პარლამენტის წევრებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა მობილური ტელეფონისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოყენებით

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ ყურადღება გამახვილებულია პარლამენტის პასუხისმგებლობაზე, რომ დროულად მიაწოდოს მოქალაქეებს ინფორმაცია. ამის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია მობილურ ტელეფონებზე ან ელ-ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს როგორც

¹³¹ Github - Web-Based Git Repository Hosting Service, <https://github.com/alphagov>.



„საპარლამენტთაშორისო კავშირი“, ისე „საპარლამენტო დემოკრატიის ხელშეწყობის ოფისი“.¹³²

აღნიშნული ვალდებულების იმპლემენტაციისთვის, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:¹³³

1. სისტემის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს პრობლემების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაუგზავნონ პარლამენტის წარმომადგენლებს, ხოლო დაინტერესებულმა მომხმარებლებმა წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში მიიღონ სიახლეები კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.
2. სისტემის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებით გააგზავნონ საკუთარი მოსაზრებები კანონპროექტის შესახებ.

აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულებასთან მიმართებაში საინტერესოა დიდი ბრიტანეთის გამოცდილება. ქვეყნის პარლამენტმა შეიმუშავა აპლიკაცია, რომელიც წარმომადგენელთა პალატის დღის წესრიგის გაცნობის საშუალებას იძლევა. დღის წესრიგი ყოველ სამუშაო დღეს ქვეყნდება და შეიცავს პალატის სხდომების ჩამონათვალს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. აპლიკაცია შემუშავებულია სპეციალურად iPad-თვის.¹³⁴


¹³² ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 238,

<http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf>.

¹³³ იქვე.

¹³⁴ Open Parliament Guide-Great Britain, <http://www.opengovguide.com/country-examples/the-uk-parliament-has-developed-an-app-that-enables-citizens-to-view-the-parliamentary-agenda-on-the-ipad/>.







დასახელებული სარეკომენდაციო ვალდებულების პრაქტიკაში იმპლემენტაციის კუთხით, ასევე, საინტერესოა Sunlight Foundation-ის მიერ შექმნილი კონგრესის აპლიკაცია, რომელიც აშშ-ს კონგრესის ყველა წევრისა და ასევე თავად კონგრესის საქმიანობის შესახებ იძლევა ინფორმაციას.



See how
legislators
vote on bills



Find and
contact your
representatives



აპლიკაცია უკვე 488,000-ჯერ იქნა გადმოტვირთული ანდროიდის სისტემის მოწყობილობისთვის და ასევე ხელმისაწვდომია iOS-თვის და Amazon Kindle-თვის.¹³⁵

¹³⁵ Open Parliament Guide-USA, <http://www.opengovguide.com/country-examples/the-congress-app-provides-profiles-of-all-members-of-the-u-s-congress-and-updates-on-congressional-action/>.

